ააიპ "ქ.ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანები" საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
№2

ქ. ქუთაისი 7 მაისი 2013 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

დავით სარალიძე – ააიპ "ქალაქ ქუთაისის ბაგა–ბაღების გაერთიანების" დირექტორის მოადგილე, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე.

გიორგი ბუაძე – ააიპ "ქალაქ ქუთაისის ბაგა–ბაღების გაერთიანების" შესყიდვების და სამეურნეო სამსახურის უფროსი საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

გიორგი ჭუმბურიძე – ააიპ "ქალაქ ქუთაისის ბაგა–ბაღების გაერთიანების" შესყიდვების კოორდინატორი; საკონკურსო კომისიის წევრი.

გივი გოცაძე – ააიპ "ქალაქ ქუთაისის ბაგა–ბაღების გაერთიანების" იურისტი, საკონკურსო კომისიის წევრი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი: ააიპ"ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" ფილიალების შენობა–ნაგებობის კაპიტალური რემონტის და კეთილმოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით გამოცხადებული N755 კონკურსში კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების განხილვა.

განხილვა: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ბუაძემ კომისიის წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დალუქული კონვერტი 7.05.2013 წელს 11სთ-ზე და 51 წთ ზე წარმოადგინა ერთმა კონკურსანტმა.

1.შპს "სასამართლო ექსპერტიზის არქიტექტურის და მშენებლობის ეროვნული ცენტრი " ს/ნ 404952798.

12 საათის შემდეგ დალუქული კონვერტი გაიხსნა კონკურსანტის თანდასწრებით და გამოცხადდა საკონკურსო წინადადების ფასი

შპს-მ "სასამართლო ექსპერტიზის არქიტექტურის და მშენებლობის ეროვნული ცენტრი" ს/ნ 404952798 წარმოადგინა საკონკურსო წინადადება 6755 ლარზე (დღგ-ს გარეშე)

საკონკურსო კომისიამ განიხილა პრეტენდენტის საკონკურსო წინადადება და ტექნიკური დოკუმენტაცია.

შპს-ს "სასამართლო ექსპერტიზის არქიტექტურის და მშენებლობის ეროვნული ცენტრი" ს/ნ 4404952798 მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განაცხადის მოთხოვნებს.

ამის შემდეგ განხორციელდა კონკურსანტის შეფასება შპს-მ "სასამართლო ექსპერტიზის არქიტექტურის და მშენებლობის ეროვნული ცენტრი" ს/ნ 404952798 მიიღო 32,4ქულა.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავჯდომარემ-დავით სარალიძემ;საკონკურსო კომისიის თავჯდომარის მოადგილემ გიორგი ბუაძემ.

დაადგინეს:

1.კონკურსო კომისიის შეფასებიდან გამომდინარე ააიპ"ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" ფილიალების შენობა–ნაგებობის კაპიტალური რემონტის და კეთილმოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით გამოცხადებული №755 კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს-ს "სასამართლო ექსპერტიზის არქიტექტურის და მშენებლობის ეროვნული ცენტრი" ს/ნ 404952798

2.საკონკურსო კომისიამ კანონით დადგენილ ვადაში უზრუნველყოს გამარჯვებული ორგანიზაციის მოწვევა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

საკონკურსოკომისიის თავმჯდომარე: დავით სარალიძე

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: გიორგი ბუაძე

კომისიის წევრები: გიორგი ჭუმბურიძე

გივი გოცაძე